

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №497

2020 წლის 13 აგვისტო

ქ. თბილისი

**ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ**

### მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – „სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ“.

### მუხლი 2

არომატული ნივთიერებების შემცველი სურსათი, რომელიც განთავსებულია ბაზარზე ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამ დადგენილებით დამტკიცებულ „არომატიზატორების და საწყისი მასალების ჩამონათვალს“ დანართ №1-ის – „არომატული ნივთიერებების ჩამონათვალის“ ნაწილი I-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია, ბაზარზე განთავსებული იქნეს „ვარგისიანობის მინიმალური ვადის“ ან „გამოყენებამდე ვადის“ გასვლამდე.

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

**ტექნიკური რეგლამენტი - სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ**

### მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო

1. „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტებთან მიმართებაში, ასევე შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, სურსათით ვაჭრობასთან დაკავშირებულ სამართლიანი პრაქტიკის დაცვას და საჭიროების შემთხვევაში, გარემოს დაცვას.

### 2. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს:

ა) არომატიზატორების და იმ საწყისი მასალების ჩამონათვალს, რომელიც დაშვებულია სურსათში/სურსათზე გამოსაყენებლად;

ბ) სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების გამოყენების პირობებს;

გ) არომატიზატორების ეტიკეტირების წესებს.



### 3. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება:

ა) არომატიზატორ(ებ)ზე, რომელიც გამოიყენება ან განკუთვნილია სურსათში ან სურსათზე გამოსაყენებლად, შესაბოლო არომატიზატორებთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით;

ბ) არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტებზე;

გ) არომატიზატორ(ებ)ის შემცველ სურსათზე და/ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტებზე;

დ) არომატიზატორ(ებ)ის და/ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების საწყის მასალაზე.

### 4. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება:

ა) ნივთიერებებზე, რომელთაც ახასიათებთ მხოლოდ ტკბილი, მჟავა ან მარილის გემო;

ბ) სასურსათო ნედლეულზე (ნედლ სურსათზე);

გ) ერთკომპონენტთან სურსათზე და ნარევეებზე, როგორებიცაა: (მაგრამ არამხოლოდ) ახალი, გამომშრალი (მშრალი) ან გაყინული სახელებლები და/ან მწვანილი, ჩაის ნარევეები და ნარევეები ნაყენებისათვის, იმ პირობით, რომ მათი გამოყენება არ მოხდა სურსათის ინგრედიენტებად.

5. დაუშვებელია ნებისმიერი პირის მიერ არომატიზატორის ან ამ არომატიზატორის შემცველი ნებისმიერი სურსათის და/ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტის ბაზარზე განთავსება, თუ მათი გამოყენება არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) არომატიზატორი – პროდუქტი, რომელიც ჩვეულებრივ არ გამოიყენება სურსათად და რომლის დამატება ხდება სურსათისათვის არომატის ან/და გემოს მიცემის ან შეცვლის მიზნით. არომატიზატორი მზადდება ან შედგება არომატული ნივთიერებების, არომატული პრეპარატების, თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორების, შესაბოლო არომატიზატორების, გემოს პრეკურსორების ან სხვა არომატიზატორების ან მათი ნარევეებისაგან;

ბ) არომატული ნივთიერებები – განსაზღვრული ქიმიური ნივთიერებები დამახასიათებელი გემოთი და არომატით;

გ) ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებები – არომატული ნივთიერებები, რომლებიც მიიღება შესაბამისი ფიზიკური, ფერმენტული, მიკრობიოლოგიური პროცესებით მცენარეული, ცხოველური და მიკრობიოლოგიური წარმოშობის მასალისაგან, ნედლი ან გადამუშავებული სახით და გამოიყენება ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სურსათის ერთი ან მეტი ტრადიციული პროცესებით მომზადებისას. ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებები შეესაბამებიან ბუნებაში ბუნებრივად არსებულ ან გამოვლენილ ნივთიერებებს;

დ) არომატული პრეპარატი – პროდუქტი, გარდა არომატული ნივთიერებებისა, რომელიც მიღებულია:

დ.ა) სურსათისაგან, სათანადო ფიზიკური, ფერმენტული ან მიკრობიოლოგიური პროცესებით, ან ნედლეულიდან, ან ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სურსათის მომზადების ერთი ან მეტი ტრადიციული პროცესების გამოყენების შედეგად;

დ.ბ) მცენარეული, ცხოველური და მიკრობიოლოგიური წარმოშობის მასალისაგან, გარდა სურსათისა,



სათანადო ფიზიკური, ფერმენტული და მიკრობიოლოგიური პროცესებით, რომლის დროსაც მასალა აღებულია არსებული ფორმით ან დამზადებულია ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სურსათის მომზადების ერთი ან მეტი ტრადიციული პროცესების გამოყენებით;

ე) თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორი – პროდუქტი, რომელიც მიიღება ისეთი ინგრედიენტების ნარევის თერმული დამუშავების შემდეგ, რომელთაც არ არის აუცილებელი ახასიათებდეს არომატული თვისებები და რომელთაგან სულ მცირე ერთი მაინც შეიცავს აზოტს (ამინო), ხოლო მეორე წარმოადგენს რედუცირებულ შაქარს. თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორის ინგრედიენტები შეიძლება იყოს:

ე.ა) სურსათი; ან/და

ე.ბ) სხვა საწყისი მასალა, გარდა სურსათისა;

ვ) შესაბოლო არომატიზატორი – პროდუქტი, რომელიც მიიღება ბოლის (კვამლის) კონდენსატის ფრაქციებად დაყოფითა და გაწმენდა-გასუფთავებით, პირველადი შესაბოლო კონდენსატის, პირველადი ფისების ფრაქციის და/ან წარმოებული შესაბოლო არომატიზატორების წარმოქმნით, მათ შორის:

ვ.ა) ბოლის (კვამლის) პირველადი კონდენსატი, რომელიც წარმოადგენს წყლის საფუძველზე წარმოქმნილი კონდენსირებული ბოლის (კვამლის) გაწმენდილ-გასუფთავებულ ნაწილს;

ვ.ბ) ცვილის პირველადი ფრაქცია, რომელიც წარმოადგენს კონდენსირებული ბოლის (კვამლის) მაღალი სიმკვრივის მქონე ცვილის წყალში უხსნადი ფაზის გაწმენდილ-გასუფთავებულ ფრაქციას;

ვ.გ) შესაბოლო არომატიზატორის წარმოებულები, რომლებიც მიეკუთვნება არომატიზატორებს, მათი წარმოება ხდება პირველადი პროდუქტების შემდგომი გადამუშავებით და რომლებიც გამოიყენება, ან განკუთვნილია სურსათში ან სურსათზე ბოლის (კვამლის) გემოს მისაცემად გამოყენებისათვის;

ზ) არომატიზატორის (არომატის) პრეკურსორი – პროდუქტი, რომელსაც შესაძლებელია თავისთავად არ ჰქონდეს გემური (არომატიზატორის) თვისებები, რომელიც მიზნობრივად ემატება სურსათს გადამუშავების დროს და დესტრუქციის ან სხვა კომპონენტებთან რეაქციის შედეგად იწვევს მხოლოდ სურსათის გემოს (არომატის) მინიჭებას/გამლიერებას. შესაძლებელია მიღებულ იქნეს:

ზ.ა) სურსათისაგან; ან/და

ზ.ბ) სხვა საწყისი მასალისაგან, გარდა სურსათისა;

თ) სხვა არომატიზატორები – დანამატები, რომელიც ემატება ან განკუთვნილია სურსათში დასამატებლად გემოს ან/და სუნის მიცემისთვის და რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ პუნქტის „ბ-ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საშუალებებს;

ი) არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტი – სურსათის ინგრედიენტი, გარდა არომატიზატორისა, რომელიც შესაძლოა სურსათს დაემატოს ძირითადად გემოს მიცემის ან შეცვლის მიზნით და რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს სურსათში ბუნებაში გავრცელებული, არასასურველი ნივთიერებების არსებობას;

კ) საწყისი მასალა – მცენარეული, ცხოველური, მიკრობიოლოგიური ან მინერალური წარმოშობის ნედლეული, საიდანაც მზადდება არომატიზატორები ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტები. ეს შესაძლოა იყოს სურსათი ან საწყისი მასალა, გარდა სურსათისა;

ლ) სათანადო ფიზიკური პროცესი – ფიზიკური პროცესი, რომელიც მიზანმიმართულად არ ცვლის არომატიზატორების კომპონენტების ქიმიურ თვისებებს, ამ მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, და არ მოიცავს სინგლეთური ჟანგბადის, ოზონის, არაორგანული კატალიზატორების, მეტალის კატალიზატორების, მეტალორგანული რეაგენტების და/ან UV (Ultraviolet – ულტრაიისფერი) რადიაციის გამოყენებას;



მ) სურსათის მომზადების ტრადიციული პროცესები – დაქუცმაცება, გაცხელება, მომზადება, გამოცხობა, შეწვა (2400C-მდე ატმოსფერულ წნევაზე) და მომზადება წნევის ქვეშ (120<sup>0</sup> C-მდე), დაჭრა, გამოშრობა, აორთქლება, ფერმენტაცია, დაფქვა, დაყოვნება(ნაყენისთვის), მიკრობიოლოგიური პროცესები, გათლა (კანის გაცლა), დაწნეხვა (დაპრესვა), მოხალვა/შეწვა(მოხრაკვა), დაღობა, მომინანქრება/მოჭირქვა, გაგრილება, დისტილაცია/რექტიფიკაცია, ემულსიფიკაცია (ემულსიის წარმოქმნა ან მიღება), ექსტრაქცია (გამხსნელით), ფილტრაცია, მაცერაცია, შერევა, პერკოლაცია, გაციება/გაყინვა, გამოწურვა.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის, ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“, „ზ“ და „კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საწყისი მასალები, რომელთან დაკავშირებითაც, ამ დროისთვის, არსებობს მნიშვნელოვანი დასაბუთება, რომ მათი გამოყენება ხდება არომატიზატორის დასამზადებლად, განიხილება როგორც სურსათი.

3. არომატიზატორები შეიძლება შეიცავდნენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვებდანამატებს და/ან ტექნოლოგიური მიზნით დამატებულ სურსათის სხვა ინგრედიენტებს.

4. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერმინებისა, ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოიყენება ასევე, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ და „მოთხოვნები გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის N549 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები.

### **მუხლი 3. არომატიზატორების ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების გამოყენების ზოგადი პირობები**

სურსათში ან სურსათზე გამოსაყენებლად დაშვებულია მხოლოდ იმ არომატიზატორების ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების გამოყენება, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) არსებული მეცნიერული მონაცემების საფუძველზე, ისინი არ უნდა წარმოქმნიდნენ ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკს;

ბ) მათ გამოყენებას შეცდომაში არ უნდა შეჰყავდეს მომხმარებელი.

### **მუხლი 4. განსაზღვრული ნივთიერებების არსებობა**

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N2-ის – „განსაზღვრული ნივთიერებების არსებობა“ ნაწილი I-ით „ნივთიერებები, რომლებიც ამ სახით არ შეიძლება სურსათში იქნას დამატებული“ განსაზღვრული ნივთიერებები არ ექვემდებარება სურსათში დამატებას.

2. „ტექნიკური რეგლამენტის – სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის N554 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, შედგენილ სურსათში, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N2-ის, ნაწილი II-ით „განსაზღვრული ნივთიერებების მაქსიმალური დონეები, რომლებიც ბუნებრივად არსებობენ არომატიზატორებში და არომატიზატორების თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტებში, ზოგიერთ შედგენილ სურსათში, რომელშიც დამატებული იქნა არომატიზატორები და/ან არომატიზატორების თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტები“ გამოყენების შედეგად არ უნდა აღემატებოდეს ამ სურსათში ან სურსათის ზედაპირზე არომატიზატორების და/ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების დანართი N2-ის, ნაწილი I-ით განსაზღვრულ რაოდენობას.

3. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N2-ით ნივთიერებების მაქსიმალური დონეები გამოიყენება ბაზარზე გასაყიდად განთავსებული სურსათის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. მშრალი და/ან კონცენტრირებული სურსათისათვის, რომლებიც საჭიროებენ/ექვემდებარებიან აღდგენას, მაქსიმალური დონეები გამოიყენებული უნდა იქნეს ეტიკეტზე განთავსებული ინსტრუქციის შესაბამისად აღდგენილი სურსათის მიმართ, განზავების მინიმალური კოეფიციენტის გათვალისწინებით.



## **მუხლი 5. განსაზღვრული საწყისი მასალების გამოყენება**

1. დაუშვებელია დანართი N3-ის „საწყისი მასალების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაზე, არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების სურსათის ინგრედიენტების დამზადებისას, ვრცელდება შეზღუდვები“ ნაწილი I-ით - „საწყისი მასალები რომლებიც არ უნდა იყოს გამოყენებული არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების სურსათის ინგრედიენტების დამზადებისას“ განსაზღვრული მასალების გამოყენება არომატიზატორების და/ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების დასამზადებლად.

2. არომატიზატორები და/ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტები, რომლებიც მიღებულია დანართი N3-ის ნაწილი II-ით „განსაზღვრული საწყისი მასალებიდან დამზადებული არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტების გამოყენების პირობები“ განსაზღვრული საწყისი მასალებიდან, შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ დანართი N3 -ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

## **მუხლი 6. არომატიზატორები და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტები, რომლებიც არ საჭიროებენ შეფასებას და დამტკიცებას**

1. ამ პუნქტით განსაზღვრული არომატიზატორები და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტები, შესაძლებელია გამოყენებული იქნას სურსათში ან სურსათზე, ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული შეფასებისა და დამტკიცების გარეშე, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ესენია:

ა) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არომატული პრეპარატები;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორები, რომლებიც დამზადებულია თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორების დამზადების პირობების შესაბამისად და მათში განსაზღვრული ნივთიერებების მაქსიმალური დონეები აკმაყოფილებს ამ რეგლამენტის დანართი N4 -ით „თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორების დამზადების პირობები და თერმულ ტექნოლოგიურ არომატიზატორებში განსაზღვრული ნივთიერებების მაქსიმალური დონეები“ დადგენილ მოთხოვნებს;

გ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არომატიზატორის(არომატის) პრეკურსორები;

დ) არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების მიუხედავად, თუ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სურსათის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) აქვს ეჭვი, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების უვნებლობასთან დაკავშირებით, მან უნდა განახორციელოს რისკის შეფასება.

## **მუხლი 7. არომატიზატორები და საწყისი მასალები, რომლებიც საჭიროებს შეფასებას და დამტკიცებას**

ამ მუხლით განსაზღვრული არომატიზატორები და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტები, სურსათში ან სურსათზე გამოყენებისათვის საჭიროებენ შეფასებასა და დამტკიცებას. ესენია:

ა) არომატული ნივთიერებები;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული



არომატული პრეპარატები;

გ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორები, რომლებიც დამზადებულია ინგრედიენტების თერმული დამუშავებით, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულად შეესაბამებიან ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N4-ის „თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორების დამზადების პირობები და თერმულ ტექნოლოგიურ არომატიზატორებში განსაზღვრული ნივთიერებების მაქსიმალური დონეები“ ნაწილი II-ით „განსაზღვრული ნივთიერებების მაქსიმალური დონეები“ დადგენილ მოთხოვნებს;

დ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არომატიზატორების(არომატის) პრეკურსორები;

ე) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სხვა არომატიზატორები;

ვ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საწყისი მასალები, გარდა სურსათისა.

## **მუხლი 8. არომატიზატორებისა და საწყისი მასალების ჩამონათვალი**

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლით განსაზღვრული არომატიზატორებიდან და საწყისი მასალებიდან ბაზარზე განთავსებული და სურსათში ან სურსათზე გამოყენებული იქნეს მხოლოდ ამ პუნქტით განსაზღვრული არომატიზატორები და საწყისი მასალები, რომელთა გამოყენება ხდება შესაბამისი პირობების საფუძველზე. ეს არომატიზატორებია:

ა) არომატული ნივთიერებები;

ბ) არომატული პრეპარატები;

გ) თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორები, რომლებიც მიიღება იმ ინგრედიენტების გაცხელებით, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საწყის მასალას, გარდა სურსათისა, და/ან რომელთა მიმართ არ ხდება თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორების წარმოების პირობების და/ან განსაზღვრული ნივთიერებების მაქსიმალური დონეების დაცვა;

დ) არომატიზატორის (არომატის) პრეკურსორები;

ე) სხვა არომატიზატორები;

ვ) საწყისი მასალები, გარდა სურსათისა.

2. არომატიზატორის და საწყისი მასალის შესახებ ჩანაწერი უნდა მოიცავდეს:

ა) დამტკიცებული არომატიზატორის ან საწყისი მასალის იდენტიფიკაციას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში არომატიზატორის გამოყენების პირობებს.

## **მუხლი 9. მოთხოვნები იმ არომატიზატორის ეტიკეტირებისადმი, რომელიც არ არის განკუთვნილი საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებისათვის**

1. ინფორმაცია იმ არომატიზატორის ეტიკეტზე, რომელიც არ არის განკუთვნილი საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებისათვის, ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, მკაფიო, მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები და არ უნდა იშლებოდეს ადვილად. ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.



2. დასაშვებია, სავალდებულო ინფორმაცია, გარდა ქართული ენისა, წარდგენილ იქნეს ასევე სხვა ენებზეც.

**მუხლი 10. ზოგადი მოთხოვნები იმ არომატიზატორის ეტიკეტირებისადმი, რომელიც არ არის განკუთვნილი საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებისათვის**

1. ინფორმაცია იმ არომატიზატორის ეტიკეტზე, რომელიც არ არის განკუთვნილი საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებისათვის, მიუხედავად იმისა, მიწოდება ხდება ინდივიდუალურად ან კომბინაციაში ნარევის სახით, და/ან სხვა სურსათის ინგრედიენტებთან და/ან სხვა ნივთიერებებთან ერთად, რომელთა დამატება ხდება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შეფუთვაზე ან ტარაზე (კონტეინერი) მითითებული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საქონლის აღწერა: სიტყვა „არომატიზატორი“, ან უფრო კონკრეტული დასახელება ან არომატიზატორის აღწერა;

ბ) განაცხადი „სასურსათე დანიშნულებისათვის“ („სურსათისათვის“) ან „სურსათში შეზღუდული გამოყენებისათვის“ ან სურსათში სავარაუდო/მიზნობრივი გამოყენებისათვის უფრო კონკრეტული მინიშნება;

გ) საჭიროების შემთხვევაში, შენახვისა და/ან გამოყენების სპეციალური პირობები;

დ) პარტიის ან ლოტის აღნიშვნის საიდენტიფიკაციო ნომერი/ნიშანი;

ე) წონის კლების მიხედვით, ჩამონათვალი;

ე.ა) არსებული არომატიზატორების კატეგორიები;

ე.ბ) პროდუქტში ყველა სხვა ნივთიერების ან მასალის დასახელება, და საჭიროების შემთხვევაში E ნომერი;

ვ) ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი;

ზ) ცალკეული კომპონენტის ან კომპონენტების ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა გამოყენება უნდა მოხდეს შეზღუდულად, და/ან გასაგები და ზუსტი ტერმინებით მითითებული ინფორმაცია, რომელიც მყიდველს შესაძლებლობას აძლევს ზუსტად შეასრულოს ამ ტექნიკური რეგლამენტითა და მასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები;

თ) ნეტო წონა;

ი) ვარგისიანობის მინიმალური ვადა ან „გამოიყენება .... მდე“ თარიღი;

კ) საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლით განსაზღვრული არომატიზატორების ან სხვა ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თანახმად სურსათში ინგრედიენტების მითითებასთან დაკავშირებით.

2. დასაშვებია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია წარდგენილ იქნეს მხოლოდ ტვირთის თანმხლებ დოკუმენტებში, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს პარტიის/ტვირთის მიწოდებამდე ან მიწოდებისას, იმ პირობით, რომ მითითება, რომ „არ არის განკუთვნილი საცალო ვაჭრობისათვის“ განთავსებული იქნება მოცემული სურსათის შეფუთვის ან ტარის ხედვის არეალში.

3. თუ არომატიზატორების მიწოდება ხდება ტანკერებით (ცისტერნებით) შესაძლებელია ყველა ინფორმაცია წარდგენილი იქნას მხოლოდ სატვირთო დოკუმენტებში, რომელიც მიწოდებული უნდა იქნეს ტვირთის მიწოდების დროს.



## **მუხლი 11. კონკრეტული მოთხოვნები ტერმინის „ნატურალურის“ (ბუნებრივის) გამოყენებისათვის**

1. თუ ტერმინი „ნატურალური“ („ბუნებრივი“) გამოყენებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, მაშინ ის უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-2-მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. არომატიზატორის აღწერის მიზნით ტერმინი „ნატურალური“ („ბუნებრივი“) შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, თუ კომპონენტი შედგება მხოლოდ არომატული პრეპარატებისაგან და/ან ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებებისაგან.
3. ტერმინი „ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერება“ გამოიყენება არომატიზატორებისათვის, რომლებშიც არომატიზატორის კომპონენტი წარმოდგენილია მხოლოდ ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებით.
4. ტერმინი „ნატურალური (ბუნებრივი)“ გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სურსათის, სურსათის კატეგორიის ან მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის არომატული საწყისი მასალის მითითებასთან ერთად, თუ არომატული კომპონენტი მიღებულ იქნა მხოლოდ, ან სულ მცირე 95% წონითი თანაფარდობით საწყისი მასალისაგან. აღწერა უნდა იყოს შემდეგი სახით: „ნატურალური სურსათი“ ან „სურსათის კატეგორია“ ან „საწყისი არომატული მასალა“.
5. „სხვა ნატურალური(ბუნებრივი) არომატიზატორებით არომატიზებული ნატურალური (ბუნებრივი) სურსათი, ან სურსათის კატეგორია ან საწყისი მასალა/მასალები“, მითითებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არომატული კომპონენტი ნაწილობრივ მიღებულია მითითებული საწყისი მასალისაგან და რომლის გემო (არომატი) ადვილად ამოცნობადია (აღსაქმელია).
6. ტერმინი „ნატურალური (ბუნებრივი) არომატიზატორი“ შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არომატული კომპონენტი მიიღება სხვადასხვა საწყისი მასალისაგან და მათზე მითითება არ ასახავს მათ სუნსა და გემოს(არომატს).

## **მუხლი 12. მოთხოვნები იმ არომატიზატორის ეტიკეტირებისადმი, რომელიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის**

1. არომატიზატორი, რომელიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა სახით ხდება მიწოდება ინდივიდუალურად ან კომბინაციაში ნარევის სახით, ან/და სხვა სურსათის ინგრედიენტებთან შერეული, და/ან რომელშიც დამატებულია სხვა ნივთიერებები, ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეფუთვაზე მითითებული იქნება ინფორმაცია - „სურსათისათვის“ ან „სურსათში შეზღუდული გამოყენება“ ან უნდა შეიცავდეს უფრო კონკრეტულ მითითებას სურსათში მათი მიზნობრივი გამოყენების შესახებ, რომელიც უნდა იყოს ადვილად შესამჩნევი, ზუსტი, მკაფიო, მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები და არ უნდა იშლებოდეს ადვილად. ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
2. თუ ხდება ტერმინის „ნატურალურის“ („ბუნებრივი“) გამოყენება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევაში საქონლის აღწერისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

## **მუხლი 13. სხვა მოთხოვნები ეტიკეტირებისადმი**

ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9-მე-12 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები საშიში ნივთიერებების წონასთან/მოცულობასთან დაკავშირებით, ასევე მოთხოვნები საშიში ნივთიერებების და პრეპარატების წარდგენის (პრეზენტაციის) კლასიფიკაციის, შეფუთვის ან ასეთი ნივთიერებების და პრეპარატების ეტიკეტირების ან ტრანსპორტირებისადმი.

## **მუხლი 14. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები**





1. არომატორული ნივთიერების მწარმოებელი ან მომხმარებელი ბიზნესოპერატორი, ან მათი წარმომადგენელი, ვალდებულია, სააგენტოს, მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს ინფორმაცია 12 თვის განმავლობაში სურსათზე დამატებული ნივთიერების რაოდენობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად, თუ ეს ინფორმაცია არ არის დაკავშირებული არომატული ნივთიერების უვნებლობის შეფასებასთან.

2. საჭიროების შემთხვევაში, ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული არომატიზატორები, რომლებიც დამზადებულია ისეთი ტექნოლოგიური პროცესების ან საწყისი მასალების გამოყენებით, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სააგენტოს მიერ რისკების შეფასებისათვის გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესებისა და საწყისი მასალებისაგან, არომატიზატორის ბაზარზე გატანამდე, მწარმოებელმა ან მომხმარებელმა ბიზნესოპერატორმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს აუცილებელი მონაცემები, შეცვლილ ტექნოლოგიურ პროცესებთან ან მახასიათებლებთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ არომატიზატორის შესაფასებლად.

3. არომატიზატორების და/ან საწყისი მასალების მწარმოებელი ან მომხმარებელი ბიზნესოპერატორი ვალდებულია სააგენტოს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ნებისმიერი ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი და ხელმისაწვდომია და რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს არომატული ნივთიერების უვნებლობის შეფასებაზე.

## **მუხლი 15. მონიტორინგი**

სააგენტო არომატიზატორების გამოყენებისა და მოხმარების, ასევე ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N2-ით განსაზღვრული ნივთიერებების გამოყენების მონიტორინგს ახორციელებს რისკის შეფასების საფუძველზე.

**დანართი N1**

### **არომატიზატორების და საწყისი მასალების ჩამონათვალი**

#### **ნაწილი I**

#### **არომატული ნივთიერებების ჩამონათვალი**

#### **ჩამონათვალის შინაარსი**

ცხრილი N1-ში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

**გრაფა 1 (FL N):** - ნივთიერების უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი;

**გრაფა 2 (ქიმიური სახელწოდება):** - ნივთიერების დასახელება;

**გრაფა 3 (CAS N):** - ქიმიური ნივთიერების სარეგისტრაციო სამსახურის (Chemical Abstracts Service - CAS) საიდენტიფიკაციო ნომერი;

**გრაფა 4 (JECFA N) :** - საკვებდანამატების FAO/WHO-ს ექსპერტთა ერთობლივი კომიტეტის (JECFA)



მიერ მინიჭებული ნომერი;

**გრაფა 5 (CoE N) :** - ევროპის საბჭოს (Council of Europe - CoE) ნომერი;

**გრაფა 6** (ნივთიერების სისუფთავე, არანაკლებ 95%, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული): - დასახელებული არომატული ნივთიერების სისუფთავე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 95%-ს. თუ ნაკლებია, არომატული ნივთიერების შემადგენლობა მოცემულია ამ გრაფაში;

**გრაფა 7** (გამოყენების შეზღუდვები): - არომატული ნივთიერებების გამოყენება დასაშვებია „წარმოების კარგი პრაქტიკის“ (GMP - Good Manufacturing Practices) შესაბამისად, თუ ამ გრაფაში სხვაგვარად არ არის მითითებული. შეზღუდული გამოყენების მქონე არომატული ნივთიერებები შესაძლოა დაემატოს მხოლოდ ჩამონათვალში მოცემულ სურსათის კატეგორიებს გამოყენების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. შეზღუდვების მიზნებისთვის, მითითებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათის შემდეგი კატეგორიები:

კატეგორიის ნომერი	სურსათის კატეგორია
1	რძის ნაწარმი და მათი ანალოგები
2	ცხიმები და ზეთები და ცხიმების და ზეთების ემულსიები
3	საჭმელად განკუთვნილი ყინული
4.2	გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული
5	საკონდიტრო ნაწარმი
5.3	სადეჟი რეზინი
6	მარცვლოვნები და მარცვლოვნების პროდუქტები
7	პურფუნთუშეული ნაწარმი
8	ხორცი
9	თევზი და თევზის პროდუქტები
10	კვერცხი და კვერცხის პროდუქტები
11	შაქრები, სიროფები, თაფლი და სამაგიდე დამატკობლები
12	მარილები, სუნელები, სუპები, სოუსები, სალათები და ცილოვანი პროდუქტები
13	განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათი
14.1	უალკოჰოლო სასმელები
14.2	ალკოჰოლური სასმელები, მათ შორის უალკოჰოლო და ალკოჰოლის დაბალი შემცველობის სასმელები
15	მზა წასახემსებელი და სნევი
16	დესერტები, გარდა 1,3, და 4 კატეგორიებით განსაზღვრული პროდუქტებისა
17	სასურსათო დანამატები, გარდა ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი სასურსათო დანამატისა
18	გადამუშავებული სურსათი, რომელიც არ შედის 1-17 -ით განსაზღვრულ კატეგორიებში, გარდა ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათისა



**გრაფა 8 (სქოლიო):** - სქოლიო (1) არომატული ნივთიერებებია, რომელთა შეფასება დასრულდა EFSA-ს მიერ;

- სქოლიო (2) -დან (4)-მდე, არომატული ნივთიერებები, რომლებიც შეფასებისათვის საჭიროებდნენ დამატებით აუცილებელ ინფორმაციას;

**გრაფა 9 :** - (მინიშნება) - სამეცნიერო ორგანოს დასახელება, რომელმაც განახორციელა შეფასება.

## ნაწილი II

### შენიშვნები

**შენიშვნა 1:** ამონიუმის, ნატრიუმის, კალიუმის და კალციუმის მარილები, ასევე ქლორიდები, კარბონატები და სულფატები, წარმოდგენილია საერთო ნივთიერებებით, იმ პირობით, თუ მათ ახასიათებთ არომატული თვისებები.

**შენიშვნა 2:** თუ დაშვებული არომატული ნივთიერებაა რაცემატი (ოპტიკური იზომერების თანაბარი ნარევი), გამოსაყენებლად დაშვებული უნდა იქნეს, როგორც R- ფორმა, ასევე S - ფორმა. თუ გამოსაყენებლად დაშვებულია მხოლოდ R - ფორმა, მაშინ დაშვება S - ფორმაზე არ ვრცელდება და პირიქით.

**შენიშვნა 3:** მაქსიმალური დონეები ეხება ბაზარზე განთავსებულ სურსათზე/სურსათში დაშვებულ დონეებს. ამ პრინციპიდან გადახვევის შემთხვევაში, გამომშრალ და/ან კონცენტრირებულ სურსათთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს აღდგენას, მაქსიმალური დონეები გამოყენებული უნდა იქნეს აღდგენილ სურსათთან მიმართებაში, ეტიკეტირებაში მითითებული ინსტრუქციების შესაბამისად, გაზავების მინიმალური კოეფიციენტის გათვალისწინებით.

**შენიშვნა 4:** არომატული ნივთიერების არსებობა დაშვებულია:

ა) შედგენილ სურსათში, მითითებული სურსათის კატეგორიების გარდა, იმ შემთხვევაში, თუ არომატული ნივთიერება დაშვებულია შედგენილი სურსათის ერთ-ერთი ინგრედიენტისათვის;

ბ) სურსათში, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ შედგენილი სურსათის მომზადების დროს და იმ პირობით, თუ შედგენილი სურსათი შეესაბამება ამ ტექნიკურ რეგლამენტს.

დანართი N2

### განსაზღვრული ნივთიერებების არსებობა

#### ნაწილი I

ნივთიერებები, რომლებიც ამ სახით არ შეიძლება სურსათში იქნას დამატებული

1. აგარის მჟავა.
2. ალოინი.
3. კაპსაიცინი.
4. 1,2 - ბენზოპირონ, კუმარინი.



5. ჰიპერიცინი.
6. ბეტა - აზარონი.
7. 1 -ალილ-4-მეთოქსიბენზოლი, ესტრაგოლი.
8. ჰიდროციანის მჟავა.
9. მენტოფურანი.
10. 4 - ალილ-1,2, დიმეთოქსიბენზოლი, მეთილევგენოლი.
11. პულეგონი.
12. ქუაზინი.
13. 1-ალილ-3,4-მეთილენდიოქსიბენზოლი, საფროლი.
14. თეუკრინ A.
15. თუჯონი (ალფა და ბეტა).

## ნაწილი II

**განსაზღვრული ნივთიერებების მაქსიმალური დონეები, რომლებიც ბუნებრივად არსებობენ არომატიზატორებში და არომატიზატორების თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტებში, ზოგიერთ შედგენილ სურსათში, რომელშიც დამატებული იქნა არომატიზატორები და /ან არომატიზატორების თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტები**

ნივთიერების დასახელება	შედგენილი სურსათი, რომელშიც შეზღუდულია ამ ნივთიერების არსებობა	მაქსიმალური დონე მგ/კგ
ბეტა-აზარონი	ალკოჰოლური სასმელები	1,0
1 -ალილ-4-მეთოქსიბენზოლი, ესტრაგოლი (*)	რძის ნაწარმი	50
	გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული (მათ შორის სოკოები, ნაყოფსხეულები, ფესურები, პარკოსანი კულტურები და პარკოსნების ნაყოფები, კაკლოვანები და თესლები	50
	თევზის პროდუქტები	50
	უალკოჰოლო სასმელები	10
ჰიდროციანის მჟავა	ნუგა, მარცპანი ან მისი შემცველები ან ანალოგიური პროდუქტები	50
	დაკონსერვებული ხილი უკურკოდ	5
	ალკოჰოლური სასმელები	35
	პიტნის შემცველი ტკბილეული, გარდა სუნთქვის	500



მენტოფურანი	გამაგრილებელი მიკროტკბილეულის გარდა	
	სუნთქვის	3000
	გამაგრილებელი მიკროტკბილეული	
	საღეჭი რეზინი	1000
	პიტნის შემცველი ალკოჰოლური სასმელები	200
4 - ალილ-1,2, დიმეთოქსიბენზოლი, მეთილევგენოლი (*)	რძის ნაწარმი	20
	ხორცის ნახევარფაბრიკატი და ხორცის პროდუქტები, მათ შორის ფრინველის ხორცი და ნანადირევი	15
	თევზის ნახევარფაბრიკატი და თევზის პროდუქტები,	10
	სუპები და სოუსები	60
	მზა ცხარე საჭმელები	20
	უალკოჰოლო სასმელები	1
პულეგონი	პიტნის შემცველი ტკბილეული, გარდა სუნთქვის	250
	გამაგრილებელი ტკბილეულისა	
	სუნთქვის	
	გამაგრილებელი ტკბილეული	2000
	საღეჭი რეზინი	350
	პიტნის შემცველი უალკოჰოლო სასმელები	20
	პიტნის შემცველი ალკოჰოლიანი სასმელები	100
ქუაზინი	უალკოჰოლო სასმელები	0,5
	პურფუნთუშეული	1
	ალკოჰოლური სასმელები	1,5
1-ალილ-3,4-მეთილენდიოქსიბენზოლი, საფროლი	ხორცის ნახევარფაბრიკატები და ხორცის პროდუქტები, მათ შორის ფრინველის ხორცი და ნანადირევი	15
	თევზის ნახევარფაბრიკატები და თევზის პროდუქტები	15



	სუპები და სოუსები	25
	ულკოპოლო სასმელები	1
თუქვრინ A	მწარე გემოს სპირტიანი სასმელები <sup>(1)</sup> ან ბიტერი	5
	ლიქიორები <sup>(2)</sup> მწარე გემოთი	5
	სხვა ალკოჰოლური სასმელები	2
თუჯონი (ალფა და ბეტა)	ალკოჰოლური სასმელები, გარდა ავმანი/ტარხუნას ფუმეზე დამზადებულისა	10
	ავმანის/ტარხუნის ფუმეზედამზადებული ალკოჰოლური სასმელები	35
	ულკოპოლო სასმელები ავსანზე/ტარხუნაზე დამზადებული	0,5
კუმარინი	ტრადიციული და/ან სეზონური პურფუნთუმეული, რომლის ეტიკეტზე მითითებულია დარიჩინი	50
	მარცვლოვნების ფუმეზე დამზადებული საუზმე, მათ შორის მუსლი	20
	უმაღლესი ხარისხის პურფუნთუმეული, გარდა ტრადიციული და/ან სეზონური პურფუნთუმეულისა, რომლის ეტიკეტზე მითითებულია დარიჩინი	15
	დესერტები	5
(*) - მაქსიმალური დონეები არ უნდა იქნას მითითებული თუ შედგენილი სურსათი არ შეიცავს არომატიზატორებს და დამატებული არომატული თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტები არის ახალი, მშრალი ან გაყინული მწვანილი და სანელებლები.		
<sup>(1)</sup> საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბერის დადგენილება №554-ით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე „ განსაზღვრული „მწარე სპირტიანი სასმელი ანუ ბიტერი“;		
<sup>(2)</sup> საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბერის დადგენილება №554-ით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე „ განსაზღვრული „ლიქიორი“;		

დანართი N3

**საწყისი მასალების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაზე, არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების სურსათის ინგრედიენტების დამზადებისას, ვრცელდება შეზღუდვები**

### ნაწილი I

**საწყისი მასალები რომლებიც არ უნდა იყოს გამოყენებული არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების სურსათის ინგრედიენტების დამზადებისას**

საწყისი მასალები	
ლათინური დასახელება	ზოგადი დასახელება
Acorus calamus L.	კოთხუჯის ტეტრაპლოიდური ფორმა



## ნაწილი II

## განსაზღვრული საწყისი მასალებიდან დამზადებული არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტების გამოყენების პირობები

ლათინური დასახელება	ზოგადი დასახელება	გამოყენების პირობები
Quassia amara L. და Picrasma excelsa (Sw)	მწარე ქვაზია	ამ საწყისი მასალიდან დამზადებული არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სასმელების და პურფუნთუმეულის დასამზადებლად
Laricifomes officinales (Vill.: Fr) Kotl. Et Pouz ან Fomes officinalis	ლარიქსის სოკო	ამ საწყისი მასალიდან დამზადებული არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად
Hypericum perforatum L.	კრაზანა	ამ საწყისი მასალიდან დამზადებული არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად
Teucrium chamaedrys L.	სურავანდის ბალახი	ამ საწყისი მასალიდან დამზადებული არომატიზატორების და არომატიზატორის თვისებების მქონე სურსათის ინგრედიენტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად

დანართი N4

თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორების დამზადების პირობები და თერმულ ტექნოლოგიურ არომატიზატორებში განსაზღვრული ნივთიერებების მაქსიმალური დონეები

## ნაწილი I

## დამზადების პირობები

1. დამუშავების დროს პროდუქტების ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 180 °C.
2. თერმული დამუშავების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს 180 °C-ზე, შესაბამისად, უფრო დაბალ ტემპერატურაზე დამუშავებისას, ტემპერატურის ყოველი 10 °C-ით შემცირების



შემთხვევაში, თერმული დამუშავების ხანგრძლივობა იზრდება 2-ჯერ, მაქსიმალური 12 საათამდე.

3. დამუშავების დროს pH მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 8,0 -ს.

## ნაწილი II

### განსაზღვრული ნივთიერებების მაქსიმალური დონეები

ნივთიერებები	მაქსიმალური დონე მკგ/კგ
2-ამინო-3,4,8-ტრიმეთილიმიდაზოლ [4,5-f] ქინოქსალინი (4,8-DiMeIQx)	50
2-ამინო-1-მეთილ-6-ფენილიმიდაზოლ [4,5-b] პირიდინი (PhIP)	50

ცხრილი N1

(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)	(8)	(9)
N	ქიმიური დასახელება (სახელწოდება)	GAS N	JECFA N	CoE N	ნივთიერების სისუფთავე, არანაკლებ 95%, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	გამოყენების შეზღუდვები	სქოლიო	მინიშნება
01.001	ლიმონენი	138-86-3		491				EFSA
01.002	1-იზოპროპილ-4-მეთილბენზოლი	99-87-6	1325	620				EFSA
01.003	პინ-2(10)-ენი	127-91-3	1330	2114			2	EFSA
01.004	პინ-2(3)-ენი	80-56-8	1329	2113			2	EFSA
01.005	ტერპინოლენი	586-62-9	1331	2115				EFSA
01.006	ალფა-ფელანდრენი	99-83-2	1328	2117	არანაკლებ 85%; მეორადი კომპონენტები: 10-12 % ციმენი და სხვა ტერპენული			EFSA





					ნახშირწყალბადები		
01.007	ბეტა-კარიოფილინი	87-44-5	1324	2118	80-92% ბეტა-კარიოფილინი და 15-19 % C <sub>15</sub> H <sub>24</sub> ტერპენული ნახშირწყალბადები (მაგ. ვალენცენი)		EFSA
01.008	მირცენი	123-35-3	1327	2197	არანაკლებ 90%; მეორადი კომპონენტები:  C <sub>15</sub> H <sub>24</sub> ტერპენული ნახშირწყალბადები (მაგ.ვალენცენი), ანალიზის დროს შეიძლება კვალის სახით გამოვლინდეს ლიმონენის, ალფა- და ბეტა - პინენის და სხვა C <sub>10</sub> H <sub>16</sub> . ტერპენების გავრცელებული ნახშირწყლები	4	EFSA
01.009	კამფენი	79-92-5	1323	2227	არანაკლებ 85%; მეორადი კომპონენტები: 15-19 % C <sub>15</sub> H <sub>24</sub> ტერპენული ნახშირწყალბადები (მაგ. ვალენცენი)	2	EFSA
01.010	1-იზოპროპილენ-4 -მეთილბენზოლი	1195-32-0	1333	2260			EFSA
01.016	1,4(8),12-ბისაბოლატრინი (ბისაბოლინი)	495-62-5	1336	10979			EFSA
01.017	ვალენცენი	4630-07-3	1337	11030	არანაკლებ 94%; მეორადი კომპონენტები: 1-4 %  სხვა C <sub>15</sub> H <sub>24</sub> სესქვიტერპენები	2	EFSA
01.018	ბეტა-ოციმინი	13877-91-3	1338	11015	არანაკლებ 80%; მეორადი კომპონენტი 15-17 %  ცის-ბეტა-ოციმინი	4	EFSA
01.019	ალფა-ტერპინენი	99-86-5	1339	11023	არანაკლებ 89 %; მეორადი კომპონენტები: 6-7 %  1,4 - და 1,8-ცინეოლი		EFSA
01.020	გამა-ტერპინენი	99-86-4	1340	11025			EFSA
01.024	ბეტა-ბურბონენი	5208-59-3	1345	11931		2	EFSA
01.026	1(5),7(11)-გუაიადინი	88-84-6	1347			2	EFSA
01.027	ბისაბოლა-1,8,12-ტრიენი	17627-44-0					EFSA
01.028	ბეტა-ბისაბოლინი	495-61-4					EFSA



01.029	დელტა-3-კარენი	13466-78-9	1342	10983	არანაკლებ 92%; მეორადი კომპონენტები: 2-3% ბეტა-პინენი; 1-2% ლიმონენი; 1-2% მირცენი; 0-1% p-ციმენი	2	EFSA
01.033	2,2,2-დიმეთილჰექსანი	590-73-8					EFSA
01.034	2,4-დიმეთილჰექსანი	589-43-5					EFSA
01.035	2,6-დიმეთილოქტა-2,4,6-ტრიენი	673-84-7				2	EFSA
01.038	დოდეკანი	112-40-3					EFSA
01.039	დელტა ელემენი	20307-84-0		10996			EFSA
01.040	ალფა-ფარნეზენი	502-61-4	1343	10998	არანაკლებ 38% ალფა და 29% ბეტა (ცის/ტრანს იზომერების ჯამი); მეორადი კომპონენტები: 20% ბისაბოლინი, 10%-მდე სხვა იზომერები (ვალენსენი, ზორ-ბონინი, კადინენი, გუაიენი)	4	EFSA
01.045	d- ლიმონენი	5989-27-5	1326	491			EFSA
01.046	l - ლიმონენი	5989-54-8		491			EFSA
01.054	ჰენტადეკანი	629-62-9					EFSA
01.057	ტეტრადეკანი	629-59-4					EFSA
01.059	4(10)-ტუიონი	3387-41-5		11018		2	EFSA
01.061	უნდეკა-1,3,5-ტრიენი	16356-11-9	1341		არანაკლებ 94%; (ცის/ტრანს იზომერების ჯამი); მეორადი კომპონენტი 2,4,6-უნდეკატრიენი (Z,Z,E)	4	EFSA
01.064	ცის-3,7-დიმეთილ-1,3,6-ოქტატრიენი	3338-55-4				2	EFSA
01.070	1-ოქტენი	111-66-0				2	EFSA
01.077	1-მეთილ-1,3-ციკლოჰექსადინი	1489-56-1	1344				EFSA
02.001	2-მეთილპროპან-1-ოლი	78-83-1	251	49			JECFA
02.002	პროპან-1-ოლი	71-23-8	82	50			JECFA



02.003	იზოპენტანოლი	123-51-3	52	51				JECFA
02.004	ბუტან-1-ოლი	71-36-3	85	52				JECFA
02.005	ჰექსან-1-ოლი	111-27-3	91	53				JECFA
02.006	ოქტანოლ-1-ოლი	111-87-5	97	54				JECFA
02.007	ნონან-1-ოლი	143-08-8	100	55				JECFA
02.008	დოდეკან-1-ოლი	112-53-8	109	56				JECFA
02.009	ჰექსადეკან-1-ოლი	36653-82-4	114	57				JECFA
02.010	ბენზილის სპირტი	100-51-6	25	58				EFSA
02.011	ციტრონელოლი	106-22-9	1219	59	არანაკლებ 90%; მეორადი კომპონენტები: 5-8% 5-8% დი-უჯერი და ნაჯერი C <sub>10</sub> სპირტები,  1% ციტრონელილაცეტატი,  1% ციტრონელოლი			EFSA
02.012	გერანიოლი	106-24-1	1223	60				EFSA
02.013	ლინალოლი	78-70-6	356	61				JECFA
02.014	ალფა-ტერპონეოლი	98-55-5	366	62				JECFA
02.015	მენტოლი	89-78-1	427	63				JECFA
02.016	DL-Borneol	507-70-0	1385	64				EFSA
02.017	ცინამილის სპირტი	104-54-1	647	65				EFSA
02.018	ნეროლიდოლი	7212-54-1	1646	67				EFSA
02.019	2-ფენილეთან-1-ოლი	60-12-8	987	68				EFSA
02.020	ჰექს-2-ენ-1-ოლი	2305-21-7	1354	68			2	EFSA
02.021	ჰეპტან-1-ოლი	111-70-6	94	70				JECFA
02.022	ოქტან-2-ოლი	123-96-6	289	71				JECFA
02.023	ოქტ-1-ენ-3-ოლი	3391-86-4	1152				1	EFSA
02.024	დეკან-1-ოლი	112-30-1	103	73				JECFA
02.026	3,7-დიმეთილოქტან-1-ოლი	106-21-8	272	75	არანაკლებ 90%; მეორადი კომპონენტები: 5-7% გერანიოლი და ციტრონელოლი			EFSA
					დასახელებული ნივთიერების სისუფთავე			



02.027	(+)-როდინოლი	6812-78-8	1222	765	არანაკლებ 95%, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული		EFSA
02.028	3,7-დიმეთილოქტან-3-ოლი	78-69-3	357	77			JECFA
02.029	3,7,11-ტრიმეთილდოდეკან-2,6,10-ტრიენ-1-ოლი	4602-84-0	1230	78			EFSA
02.030	ალფა-პენტოციტინამილის სპირტი	101-85-9	674	79			EFSA
02.031	3-ფენილპროპან-1-ოლი	122-97-4	636	80			EFSA
02.033	1-ფენილპროპან-1-ოლი	93-54-9	822	82			EFSA
02.034	1-ფენილპროპან-2-ოლი	705-73-7	825	83			EFSA
02.035	2-მეთილ-1-ფენილპროპან-2-ოლი	100-86-7	1653	84			EFSA
02.036	4-ფენილბუტან-2-ოლი	2344-70-9	815	85			EFSA
02.037	3-მეთილ-1-ფენილპენტან-3-ოლი	10415-87-9	1653	84			EFSA
02.038	ფენხელის სპირტი	1632-73-1	1397	87			EFSA
02.039	4-იზოპროპილბენზილის სპირტი	536-60-7	864	88			EFSA
02.040	პენტან-1-ოლი	71-41-0	88	514			JECFA
02.041	2-მეთილბუტან-2-ოლი	75-85-4		515			EFSA
02.042	2-(4-მეთილფენილ)პროპან-2-ოლი	1197-01-9	1650	530	არანაკლებ 90%; მეორადი კომპონენტი 9-11%  p - იზოპროპილტოლუენი		EFSA
02.043	2-ეთილბუტან-1-ოლი	97-95-0		543			SCF/CoE
02.044	ჰექსან-3-ოლი	589-82-2	286	544			JECFA
02.045	ჰექსან-2-ოლი	543-49-7	284	554			JECFA
02.047	3,7-დიმეთილოქტან-1,7-დიოლი	107-74-4	610	559			JECFA
02.049	ნონ-2,6-დიენ-1-ოლი	7786-44-9	1184	589		2	EFSA
02.050	პენტ-2-ენ-1-ოლი	20273-24-9	1793	665		2	EFSA
02.051	5-ფენილპენტან-1-ოლი	10521-91-2	675	674			EFSA
02.052	2-მეთილპროპან-2-ოლი	75-65-0		698			EFSA
02.054	p-მენტან-1,8-დიოლი	80-53-5		701			EFSA
02.055	3,5,5-ტრიმეთილჰექსან-1-ოლი	3452-97-9	268	702			JECFA



02.056	ჰექს-3(ციხ)-ენ-1-ოლი	928-96-1	315	750c				JECFA
02.057	უნდეკან-1-ოლი	112-42-5	106	751				JECFA
02.058	(Z) -ნეროლი	106-25-2	1224	2018				EFSA
02.059	(DL) - იზობორნეოლი	124-76-5	1386	2020	არანაკლებ 90%; მეორადი კომპონენტი 3-5% ზორნეოლი			EFSA
02.060	p-მენტა-1,8-დიენ-7-ოლი	536-59-4	974	2024		კატეგორიებში 1, 3, 4.2, 5 (გარდა 5.3 კატეგორიისა), 6, 7, 14.1, 14.2 და 16	1	EFSA
02.061	დიჰიდროკარვეოლი	619-01-2	378	2025				JECFA
02.062	კარვეოლი	99-48-9	381	2027				JECFA
02.063	d-ნეომენტოლი	2216-52-6	428	2028				EFSA
02.064	1-ფენილეთანი-1-ოლი	98-85-1	799	2030				EFSA
02.065	4-მეთილ-1-ფენილპენტან-2-ოლი	7779-78-4	827	2031				EFSA
02.066	4-ფენილბუტ-3-ენ-2-ოლი	17488-65-2	827	2031			2	EFSA
02.067	1R,2S,5R-იზოპულეგოლი	89-79-2	755	2033			4	EFSA
02.070	ციკლოჰექსანოლი	108-93-0		2138				EFSA
02.071	p-მენტან-2-ოლი	499-69-4	376	2228				JECFA
02.072	4-ტერპინენოლი	562-74-3	439	2229				JECFA
02.073	2-ფენილპროპან-1-ოლი	1123-85-9	1459	2257				EFSA
02.074	ჰექს-4-ენ-ოლი	6126-50-7	318	2295				JECFA
02.075	(1R,2S,5S)-ნეო-დიჰიდროკარვეოლი	18675-33-7		2296				EFSA
02.076	2-მეთილბუტან-1-ოლი	137-32-6	1199	2346				EFSA
02.077	პენტან-3-ოლი	584-02-1		2349				EFSA
02.078	ეთანოლი	64-17-5	41	11891				JECFA
02.079	იზოპროპანოლი	67-63-0	277					JECFA
02.080	1-(p-ტოლილ)ეთან-1-ოლი	536-50-5	805	10197				EFSA
02.081	2,6-დიმეთილპენტან-4-ოლი	108-82-7	303	11719	არანაკლებ 90%; მეორადი კომპონენტი 8-9 % - ჰექტანოლი			JECFA
02.082	2-ეთილჰექსან-1-ოლი	104-76-7	267	11763				JECFA



02.083	p-მენთო-1-ენ-3 - ოლი	491-04-3	434	10248				JECFA
02.085	საბინენის ჰიდრატი	546-79-2	441	10309				JECFA
02.086	უნდეკან-2-ოლი	1653-30-1	297	11826				JECFA
02.087	ნონან-2-ოლი	628-99-9	293	11803				JECFA
02.088	პენტან-2-ოლი	6032-29-7	280	11696				JECFA
02.089	ჰექსან-3-ოლი	623-37-0	282	11775				JECFA
02.090	ნონ-2(ტრანს)-ენ-1-ოლი	31502-14-4	1365	10292			2	EFSA
02.091	მირტენოლი	515-00-4	981	10285		კატეგორიებში 1, 3, 5, 6, 14.1, 14.2, 15 და 16	1	EFSA
02.092	დეჰიდროდიჰიდროინოლი	57069-86-0	397	10195	არანაკლებ 70%; მეორადი კომპონენტი 25-27 % - ტეტრაჰიდროინონი			JECFA
02.093	(Z) -ნონ-6-ენ-ოლი	35854-86-5	324	10294				JECFA
02.094	ოქტ-3-ენ-ოლი	20125-84-2	321	10296				JECFA
02.095	2-ეთილფენოლი	18368-91-7	440	10208				JECFA
02.096	1-ტერპინენოლი	586-82-3	373	10252				JECFA
02.097	ბეტა-ტერპინენოლი	138-87-4	374	10254				JECFA
02.098	ოქტან-3-ოლი	589-98-0	291	11715				JECFA
02.099	პენტ-1-ენ-3-ოლი	616-25-1	1150	11717			1	EFSA
02.100	პინოკარველი	5947-36-4	1403	10303				EFSA
02.101	პინ-2-ენ-4-ოლი	473-67-6	1404	10304				EFSA
02.102	ოქტ-3-ენ-2-ოლი	76649-14-4	1140				1	EFSA
02.103	დეკან-3 -ოლი	1565-81-7	295	10194				JECFA
02.104	ჰექს-1-ენ-3-ოლი	4798-44-1	1151	10220			1	EFSA
02.105	4-(2,6,6-ტრიმეთილ-2-ციკლოჰექსენილ)ბუტ-3-ენ-2-ოლი	25312-34-9	391				2	JECFA
02.106	4-(2,6,6-ტრიმეთილ-1-ციკლოჰექსენილ)ბუტ-3-ენ-2-ოლი	22029-76-1	392		არანაკლებ 92%; მეორადი კომპონენტები: 3-8 % იონოლი და იონონი		2	JECFA
02.107	დიჰიდრო-ბეტა-იონოლი	3293-47-8	395					JECFA
02.108	2-მეთილ-4-ფენილბუტან-2-ოლი	35854-86-5	324	10294				EFSA



02.109	3-მეთილბუტ-2-ენ-1-ოლი	556-82-1	1200	11795				EFSA
02.110	2,6-დიმეთილჰექს-6-ენ-1-ოლი	36806-46-9	348		არანაკლებ 90%; მეორადი კომპონენტი 5-10 % 2,6-დიმეთილ-5-ჰექტენ-1-ოლი			JECFA
02.111	3-მეთილბუტან-2-ოლი	598-75-4	300					JECFA
02.112	ნონ-2(ცის)-ენ-1-ოლი	41453-56-9	1369	10292			2	EFSA
02.113	ოქტ-5(ცის)-ენ-1-ოლი	64275-73-6	322		არანაკლებ 90%; მეორადი კომპონენტი 7-9 % ტრანს-5-ოქტენ-1-ოლი			JECFA
02.114	2-(2,2,3-ტრიმეთილ-ციკლოპენტ-3-ენილ)ეთან-1-ოლი	1901-38-8	970					EFSA
02.115	3-მეთილპენტან-1-ოლი	589-35-5	263	10275				JECFA
02.119	ცედრენოლი	28231-03-0		10189				EFSA
02.120	(+)-ცედროლი	77-53-2		101190				EFSA
02.121	ბუტან-2-ოლი	78-92-2		11735				SCF/CoE
02.123	2-მეთილბუტ-3-ენ-ოლი	115-18-4		11794				EFSA
